

ს/ს „ენერგოკავშირი“-ს

/ს/კ 200095887, იურიდიული მისამართი: თბილისი, მუხიანის I მ/რ; კორპ-13/

მესამე მოწვევის მორიგი საერთო კრების შესახებ

განცხადება

2023 წლის 29 მაისს, ორშაბათს, დღის 12 საათზე მოწვეული იყო ს/ს „ენერგოკავშირი“-ს მეორე მოწვევის მორიგი საერთო კრება, კრება არ იყო გადაწყვეტილებასწავრიანი, არ გამოცხადდა არცერთი აქციონერი, რის გამოც სს „ენერგოკავშირი“ საზოგადოების აქციონერებს იწვევს მესამე მოწვევის მორიგ საერთო კრებაზე 2023 წლის 14 ივნისს, ოთხშაბათს, დღის 12 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი მუხიანის დას. I მ/რ; მე-5 კორპ.

დღის წესრიგი:

1. 2022 წლის წლიური ანგარიში;
2. 2022 წლის დირექტორის ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
3. 2022 წლის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის წარმოდგენა და დამტკიცება;
4. აუდიტორის არჩევა.
5. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სს „ენერგოკავშირი“-ს მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, სტანდარტული წესდების დამტკიცება (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის ბრძანება №791 სამეწარმეო საზოგადოების სტანდარტული წესდების დამტკიცების შესახებ)

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება და მმართველი ორგანოს წევრების წლიური ანგარიშის პროექტის მიღება აქციონერებს შეუძლიათ ს/ს „ენერგოკავშირი“-ს ოფისში.



კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს ხელმძღვანელ ორგანოს და: ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი; 2) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

საერთო კრების საადრიცხვო დღე არის 2023 წლის 6 ივნისი 18 სთ.

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვს სს „კავკასრეესტრში“ საადრიცხვო დღეს, 2023 წლის 6 ივნისს 18 საათის მდგომარეობით რეგისტრირებულ ჩვეულებრივი აქციის მფლობელ აქციონერებს (ან მათი წარმომადგენლები). მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ს/ს „კავკასრეესტრში“ მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186.

სს „ენერგოკავშირი“-ს

გენერალური დირექტორი



გენერალური დირექტორი